შეთანხმება

ერთის მხრივ, შპს „მაირი-98" (ს/ნ 200239688) რომელიც ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებულია როგორც ,,მესაკუთრე,'' წარმოდგენილი მისი დირექტორის სოსო ჯაყელის (პ.ნ 01024065763) სახით და მეორეს მხრივ სს „თელასი" (ს.კ№ 202052580) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის სერგეი კობცევის (პირადი N01591002308) სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:

17/12/2025 წელს მხარეებს შორის გაფორმებულ უზუფრუქტის ხელშეკრულების (მისამართი: ქალაქი თბილისში, ზაირა კიკვიძის ქუჩა, N8, საკადასტრო კოდი: 01.12.12.002.012) თანდართულ საკადასტრო გეგმაზე მონიშნული ენერგოობიექტის განთავსების ადგილი შეიცვალოს აღნიშნულ შეთანხმებაზე თანდართულ საკადასტრო გეგმაზე მონიშნული ადგილით.

წინამდებარე შეთანხმება დადებულია ორ ეგზემპლიარად და ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

მხარეთა რეკვიზიტები

სს „თელასი" (ს/კ: 202052580)

გენერალური დირექტორი

სერგეი კობცევი (პ/N01591002308)

_____

შპს „მაირი-98" (ს/ნ 200239688)

დირექტორი

სოსო ჯაყელი (პ.ნ 01024065763)

_____

Соглашение

ООО «Маири-98» (ИНН: 200239688), далее – Собственник, в лице директора Сосо Джакели (Л/№01024065763), с одной стороны и АО «Теласи» (ИНН: 202052580), в лице Генерального директора Сергея Кобцева (личный №01591002308), с другой стороны, пришли к соглашению о нижеследующем:

Место размещения энергообъекта, отмеченного на кадастровом плане (адрес: г. Тбилиси, ул. Заиры Киквидзе №8, кадастровый код: 01.12.12.002.012), прилагаемом к договору узуфрукта, оформленному между сторонами 17/12/2025 года, заменить местом, отмеченным на кадастровом плане, прилагаемом к настоящему Соглашению.

Настоящее Соглашение заключено в двух экземплярах и вступает в силу с момента подписания.

Реквизиты сторон

АО «Теласи» (ИНН: 202052580)

Генеральный директор

Сергей Кобцев (Л/№01591002308)

_____

ООО «Маири-98» (ИНН:200239688)

Директор

Сосо Джакели (Л/№01024065763)

_____

Дата 18.02.2026


Имя и фамилия переводчика: Давид Курулишвили

Проверил: Начальник отдела Тамар Маруашвили

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.12.12.002.012*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882014347334
მიწის ნაკვეთის ფართობი: *28164* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მოზომვის თარიღი 15.07.14



შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
ცალდგებულება
ხაზობრივი ნაგებობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
მშენებარე ნაგებობა
მიწისქვეშა ნაგებობა
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მისამართი: 0102 ქ. თბილისი, ზურაბიშვილის ქ. 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 01 61
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ინფორმაციის ცხელი ხაზი 89124 ტელ: (995 32) 94 11 55
www.napr.gov.ge

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N260239331
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.02.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ლუიზა ცხადაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქუჩა N23**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2943164 599535661 591706617
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	01676651479226

დღეს, ორიათას ოცდაექვსი წლის ოცდახუთ თებერვალს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ლუიზა ცხადაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქ. N23, პირველი სართული, მომმართა ქალბატონმა ირმა ჭუმბაძემ (დაბადების თარიღი: 26 ივლისი 1981, პირადი ნომერი: N01024024117) რომელმაც განაცხადა, რომ სს ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს სერგეი კობცევს არ შეუძლია სანოტარო ბიუროში გამოცხადება და მას როგორც სს ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს საზოგადოების სახელით სურს შეთანხმებაზე ხელისმოწერის ნამდვილობის დადასტურება შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვანის ქ. N3. მე ვეახელი სერგეი კობცევს აღნიშნულ მისამართზე და დავრწმუნდი, რომ მას ნამდვილად სურდა წინამდებარე შეთანხმებაზე თავისი ხელისმოწერის სანოტარო წესით დადასტურება. მას განემარტა წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი. სერგეი კობცევმა ყოველივე ზემოთქმული განაცხადა რუსულ ენაზე. განაცხადა ასევე, რომ რომ ის არ ფლობს შეთანხმების შედგენისას გამოყენებულ სახელმწიფო ენას და დამწერლობას, მისი სურვილით ქართული ენიდან რუსულ ენაზე შეთანხმების ტექსტის გადასათარგმნად მოწვეული იქნა მის მიერ შერჩეული თარჯიმანი დავით ყურულიშვილი. მე დავადგინე თარჯიმნის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად დავით ყურულიშვილმა (დაბ. 02.12.1974 წ. პირადი N01002004546, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, V მიკრო/რაიონი, კორპუსი 9ა, ბინა 51; სერთიფიკატი 005 N0048 გაცემული სასწავლო ცენტრი ''რუსული სახლი'' მიერ გაცემის თარიღი: 27.07.2020) მიიღო მონაწილეობა შეთანხმების ტექსტის გადათარგმნაში; დავით ყურულიშვილმა განაცხადა, რომ ფლობს რუსულ ენას და ჯეროვნად უზრუნველყოფს წინამდებარე შეთანხმების თარგმანს. მან თანხმობა განაცხადა თარჯიმნად ყოფნაზე და გამორიცხა თარჯიმნად ყოფნის არარსებობის დამადასტურებელი გარემოება, წარმოადგინა თავის სახელზე გაცემული სერთიფიკატი 005 N0048 გაცემული სასწავლო ცენტრი ''რუსული სახლი'' მიერ გაცემის თარიღი: 27.07.2020) და განაცხადა რომ იძლევა ზუსტი თარგმანის გარანტიას. მე დავადგინე სერგეი კობცევ პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს სერგეი კობცევს (დაბადების თარიღი: 17 დეკემბერი 1972 წელი, დაბადების ადგილი: რუსეთი, პასპორტის ნომერი 75 6925332,პასპორტი გაცემულია შსს 50001 მიერ 12.02.2018 წ, პირადი N01591002308) დავუდასტურე ხელისმოწერის სინამდვილე მის მიერ შედგენილ და წარმოდგენილ შეთანხმებაზე. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მათ განვუმარტე წარმოდგენილ შეთანხმებაზე თავიანთი ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მათ განაცხადეს, რომ შეთანხმებაზე მათი ხელისმოწერა ზუსტად გამოხატავს მათ ნებას. შემდეგ, მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი შეთანხმებაზე, რომელიც შესრულებულია ქართულ-რუსულ ენებზე და წარმოდგენილია თითო ერთ /01/ გვერდზე, სერგეი კობცევმა და დავით ყურულიშვილმა ხელი მოაწერეს წინამდებარე შეთანხმებაზე. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერა შესრულებულია და დოკუმენტი გაცემულია ორ /02/ თანაბარმნიშვნელოვანი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემათ მხარეებს.

სს "თელასი''-ს ეკისრება სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა: სულ სამოცდათოთხმეტი /74.62/ ლარი, სამოცდაორი თეთრი, საფუძველი: „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილება, იმავე დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის N272 დადგენილება, 31.3 მუხლისა თითოეული ხელმოწერისათვის ექვსი /6.00/ ლარი და 00 თეთრი, რაც ჯამში შეადგენს ოცდაოთხ ლარს და 00 თეთრს. /24.00/, შენობის გარეთ შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის ოცდათხუთმეტი ლარი 00 თეთრი. /35.00/, 39.1 მუხლის თანახმად ხუთი ლარი 00 თეთრი, /5.00/ ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო

მოქმედების რეგისტრაციის საფასური და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დღგ 10.62 (ათი ლარი და სამოცდაორი თეთრი).

მე ნოტარიუსი, ლუიზა ცხადაძე, განვმარტავ, რომ არ ვადასტურებ წარმოდგენილ შეთანხმებაში მოტანილი ფაქტის სისწორეს, არამედ ვადასტურებ, რომ წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერა ნამდვილად სს ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს სერგეი კობცევს და თარჯიმანს დავით ყურულიშვილს ეკუთვნით.

ნოტარიუსი: /ლუიზა ცხადაძე/



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N260241440
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.02.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ლუიზა ცხადაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქუჩა N23
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2943164 599535661 591706617
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	42875430490226

დღეს, ორიათას ოცდაექვსი წლის ოცდახუთ თებერვალს, მე, საქართველოს ნოტარიუსი ლუიზა ცხადაძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქ. N23, პირველი სართული, ვადასტურებ საქართველოს მოქალაქის ბატონ სოსო ჯაყელის (დაბ. თარიღი: 02 ივნისი 1992, მისამართი: თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N 11ა ბ. 45, პირადი N01024065763) ხელმოწერის ნამდვილობას მის მიერ წარმოდგენილ შეთანხმებაზე, მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად სოსო ჯაყელმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მას განვუმარტე წარმოდგენილ შეთანხმებაზე თავისი ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მან განაცხადა, რომ შეთანხმებაზე მისი ხელისმოწერა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ, მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შეთანხმებაზე, რომელიც შესრულებულია ქართულ და რუსულ ენებზე, მოცემულ შემთხვევაში ხელმოწერა დადასტურდა ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტზე, თითო ერთ /01/ გვერდზე და დოკუმენტი გაცემულია 2 /ორ/ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

სს "თელასი''-ს ეკისრება სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა: სულ გადასახდელია ცხრამეტი ლარი თექვსმეტი თეთრი /19.16/ საფუძველი: „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილება, იმავე დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის N272 დადგენილება, 31.3 მუხლისა თითოეული ხელმოწერისათვის ექვსი /6.00/ ლარი და 00 თეთრი, რაც ჯამში შეადგენს თორმეტ ლარს 00 თეთრს, /12.00/, 39.1 მუხლის თანახმად ხუთი ლარი 00 თეთრი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დღგ ორი ლარი და თექვსმეტი თეთრი /2.16/.

მე ნოტარიუსი, ლუიზა ცხადაძე, არ ვადასტურებ წარმოდგენილ შეთანხმებაში მოტანილი ფაქტის სისწორეს, არამედ ვადასტურებ, რომ წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერა ნამდვილად სოსო ჯაყელს ეკუთვნის.

ნოტარიუსი: ლუიზა ცხადაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

